ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

ფასი № 366 | ქვირა, 4 დეკემბერი 1915 წ. | გაზეთის № 2963.

უდანაშაულო ტუსაღი

თანამდროვე განმთავისუფლებელი მოძრაობა ელვის სისწრაფით მოეფო ქალაქ-სოფლებს, დაარღვია სოფლის მიძინებული ცხოვრება, შეიკრა ბიუროკრატიულ დაწესებულებებშიაც და შეარყია სხვა-და-სხვა წრეების კარჩაკეტილი, უზრუნველი და უდარდელი ცხოვრება. ამ საერთო მოძრაობის დროს დამფრთხალ ბიუროკრატიას და იმის იდეოლოგებს, რა თქმა უნდა, გზა-კავალი დაეტნათ. ძნელი იყო უზრუნველყოფილ, ფუფუნებით და მაშვრალის ოფლით მაძღარ ცხოვრების განშორება და იმანაც მიმართა ყოველ ღონეს, სამართლიანს თუ უსამართლოს, რომ ძველებური არსებობა შეენარჩუნებინა.

ხედავდა თავის აღსასრულის მოახლოებას და, როგორც მომაკვდავი ხასს, ისე ეჭიდებოდა ყოველ საშუალებას. გაიფეფა ინკვიზიცია, მაგრამ იმავე დროს ვერ ამჩნევდა, რომ არავის ძალა არ შეესწევდა, ცხოვრების ისტორიული მსვლელობა ოდნავაც არის შეეჩერებინა.

ბიუროკრატიის წყალობით რამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაიღვარა, რამდენი მოდვაწე, მუშა-მაშრალი დაიტანჯა და ეწამა, რამდენმა იგემა ციცვი ციმბირი და ნოტიო ბნელი სატუსაღო!

მატარებელში გავიცანი შტატსკუ-რად ჩაცმული, აფიცრად ნამყოფი მგზავრი. დავიწყეთ საუბარი თანამედროვე მოძრაობის შესახებ. შემოგვიერთდა მესამე მგზავრიც და ცხარე კამათი გავაბით... ხოლოს ნაფიცრალს ვკითხე:

— რად გაანებეთ სამსახურს თავი?

ეს კითხვა ძლიერ მაინტერესებდა. ნაფიცრალს სახე შეეკმუხნა, ამოიოხრა, შემდეგ გაიღიმა და დაიწყო:

— სამი წელიწადია, რაც ეს ამბავი მოხდა. მაშინ მოძრაობა ახალი დაწყებული იყო. მე ერთ პოლკში ვმსახურებდი. ნანამ დაახლოებით გავიცნობდი აფიცერთა საზოგადოებას, დარწმუნებული ვიყავ, რომ სხვა სამსახურთან შედარებით სამხედრო სამსახურში ადამიანი მეტ სიმართლეს და კანონიერებას ჰპოებდა, მაგრამ მოეტყუვედი. ხშირად ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით, უმთავრეს სალაპარაკო საგანს შეადგენდა ახლად ფეხ-ადგმული ხალხის მოძრაობა. პირველ ხანებშივე შევამჩნიე, რომ მოწინააღმდეგის აზრს (თუ აზრი მოძრაობას ემხრობოდა) დასცინოდნენ, ასეთ აზრის გამომთქმელს არა სიმედო პირით სახავდნენ...

არ შევუდგები ჩვენი წრის ცხოვრების აღწერას. აფიცერთა ცხოვრება კარგად, სინამდვილით აქვს დასურათებული „პოედინოკ“-ში რუს მწერალს კუპრინს. ამ წიგნის გამო პეტერბურგის აფიცერთა მოწინავე ჯგუფმა აღრესი მიართვა ავტორს. ჰო, იმას ვამბობდი, ან უნდა იმათ აზრზე დამდგარიყავი, ან განშორებოდი, ან კიდევ გაჩუმებულიყავი. ძალათ დამუნჯება, დაჩუმება, როგორც მოგეხსენებათ, გრძნობიერ კაცისთვის ძნელია. მართალი გითხრათ, რაც დრო გა-

ზღვის ვარდი.—სურ. შმუდერასა.

ბაზარი ტყვეების გასასყიდად —სურ. ნოსშენისა.

დიოდა, ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი_იმ წრეში დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

ამ დროს ომიც დაიწყო. ჩვენ საკამათო საგნად ახლა ომი გადაიქცა. ჩემი მოწინააღმდეგენი ზიზღით და ეჭვით მიცქეროდნენ, როდესაც ომის წინაგებას ეწინასწარმეტყველობდი. ასეთ მსჯელობის გამო ბრძანება და შენიშვნაც მიმიღია უფროს, ძველ ამხანაგებისაგან: „держите языкъ за зубами"-ო, მეტყოდნენ ხოლმე. რაღა ბევრი გავაგრძელო, ომიც წავაგეთ და მეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. თითქოს მე ვყოფილიყავი ომის წაგების მიზეზი...

გავიდა დრო. მტერთა ბანაკი ძლიერდებოდა. ყოველნაირ ღონეს ხმარობდნენ ჩემს დასამარცხებლად. ამას ვაჩვენებდი და ფრთხილად ვიყავი. სამსახურის გამო ვერავინ მისაყვედურებდა, რადგან ჩემს საქმეს ზეციდათ ვეკიდებოდი. მაგრამ მალე მოხდა ჩემ მოწინააღმდეგეთათვის სასიხარულო ამბავი. როგორ დაურანაირად—დღესაც არ იცი. ვიღაცამ დამასმინა, ვითომ მე მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ვეწეოდი სალდათებს შორის. მორჩა და გათავდა. არც დამტკიცება, არც არავითარი საბუთი! ეს ამბავი ამცნეს უმაღლეს მთავრობას, და მოვიდა დეკეში ჩემს დატუსაღების შესახებ. იმ დღეს ყარაულში ვიყავი, ღამის 12 საათზე გამოგცვალეს და დამამწყვდიეს ცალკე ოთახში.

პირველ ხანებში გონს ვერ მოვედი. ვიგონებდი ჩემ დანაშაულობას, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე. სამსახურში არავითარი შენიშვნა არასოდეს არავისაგან არ მიმეღო, თუმცა ორ-სამ თანამდებობას ვასრულებდი, წარსულ სამსახურში წმიდა, უმწიკვლო მსონდა, ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა თავში. მისმოდა, ზოგი კატორგაში მგზავნიდა, ზოგი ჩამოხჩრობას მიპირებდა. არ ვიცოდი, რა მომელოდა. ეფარაჯობდნენ ჩემივე ამხანაგები. ხმას არავინ მცემდა. კარგმან თოფიან მეგზურები, ჩემივე ხელქვეითი სალდათი.

ერთის სიტყვით ძალაუნებურად დავრწმუნდი, რომ დიდი დამნაშავე ვიყავი. ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ორობდნენ, მეტად სასტიკი გამოდგა. ამ ინსტრუქციის ძალით, არავის არ შეეძლო რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ჩემთან, არ შეეძლო დალაპარაკებაც-კი, აღკრძალული მქონდა წიგნების კითხვა, მიწერ-მოწერა და სხვა. ბანაკში წასვლა თავში ორჯელ შემეძლო, ისიც თან შეიარაღებული ოფიცერი უნდა გამომყოლოდა და ბანოს გარე ფანჯარასთან დარაჯი დამდგარაყო. როცა გამანთავისუფლეს, დიდ ხანს ვეძებე და მცოდნეს ვკითხე, ვკითხე მაგრამ რუსეთის კანონებში ვერსად ვიპოვე ისეთი მუხლი, რომელიც ამპრალებდეს ამ სასასტიკეს.

ასე თუ ისე ამ ინსტრუქციას, ორი-სამი ოფიცრის გარდა, ყველა გულ მოდგინეთ ასრულებდა. საზოგადოდ, ყარაულის ფეფოსი ვალდებულია, ტუსაღთან შევიდეს და ჰკითხოს: იქნებ რამე სურსო, ან საჭიროელი აქვსო. იმდენად დაშინებულნი იყვნენ ოფიცრები, რომ როგორც საშიშ მხეცს, ისე მერიდებოდნენ. ხშირად ჩემ ოთახში შემოხედვისაკენ ეშინოდათ, თუმცა ჯიბის დანაც წამართვეს. ჩემი მოხუცი მშობლები ცხარე ცრემლებს ღვრიდნენ, ცოცხალს მკვდრად მიგლოვებდნენ, ნათესავნი, ძმები ჩემდა სანახავად მოვიდნენ, მაგრამ არ მაჩვენეს...

დრო გადიოდა, მე ვიჯექი დაკეტილ პატარა ოთახში და ველოდი ალსასრულს. დადიოდი ოთახში, სიარულით რომ თავბრე დამესხმოდა, ლოგინზე მივეგდებოდი. არა თუ ახალ, ძველ გაზეთსაც არ მაძლევდნენ წასაკითხად.

ჩემ სულიერ ტანჯვას დასასრული არა ჰქონდა და ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი 59 დღეს და ღამეს. გამიჭირდა, მოთმინების ფიალა გაივსო და ერთ დღეს სურვილი განვაცხადე ადგილობრივ ციხის უფროსის ნახვისა. მოვიდა უფროსი. ვთხოვე ჩემს შესახებ შეჰკითხოდა უმაღლეს მთავრობას: რახ

შეუბოგარი.—სურათი ბედდერიშისა.

ჩა და გათავდა! გამამართლეს მართალი, უდანაშაულო კაცი.

მაგრამ ესეც არ მაკმარეს და პოლკში ფარული მოწერილობა გამოგზავნეს: სასტიკ მხედველობის ქვეშ გაკვდეთო. ყველა თვალს მატანდა, მიყურებდა, საით წავიდოდი, ვის დაველაპარაკებოდი, და განა შეიძლებოდა ჩემი სამსახურში დარჩენა, როცა ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა და ჩემივე ამხანაგები ჯაშუშად მიდგნენ? განა შემეძლო ძველებურად გულიანად მოკიდებოდი სამსახურს? ეს არ შეიძლებოდა და მეც სამუდამოდ გამოვეთხოვე ოფიცერთა კორპორაციას. ასეთია ეხლანდელ ოფიცერთა წრე და, თქვენ თვითონ იფიქრეთ, რა ყოფაში უნდა იყვნენ ამათთან უფნო, მუნჯად გამხდარი სალდათები. დღეს მე ბედნიერი, თავისუფალი მოქალაქე ვარ.

ამით დაასრულა პატარა ისტორიი ნაოფიცალმა თანამგზავრმა და კვლავ გვთხოვა უეჭველად წაგვეკითხა კუპრინ-ის „პოედინოკ-ი.“

დ. ჭ—ძე.

მიპირებენ, რა დანაშაული მიმიძღვის? უფროსი შევიდა ჩემს მდგომარეობაში და იმავე დღეს გაგზავნა დაპეშა. გავიდა ოთხი დღე და იმის მაგიერ, რომ დეპეშითვე გაეცათ პასუხი, ქაღალდი გამოგზავნეს. ქაღალდში ეწერა: „გაცნობებთ რომ ოფიცრის დანაშაული არ დამტკიცდა და საქმე მოსპობილ იქმნა, სრულიად განთავისუფლების შესახებ განკარგულება მეორე შტაბში გავგზავნეთო.“ როგორ მოგწონთ? მე იქ ვიჯექი უმიზეზოდ, ხოლო ჩემი განთავისუფლების შესახებ განკარგულება მეორე ალაგას გაეგზავნა. ამ რიგად მეორე შტაბიდან ქაღალდი პოლკში უნდა წასულიყო, მერე პოლკს უნდა ეცნობებინა იმ ციხის უფროსისათვის, სადაც მე ვიჯექი და ასე კიდევ უნდა დავრჩენილიყავი ტუსაღად. ბოლოს გამამთავისუფლეს, მაგრამ 60 დღე სატუსაღოში გატარებული, აღმოუფხვრელი დარჩება ჩემ ცხოვრებაში. ამ სამოცმა დღემ ხავსებით გამიხიალა ‍ თვალები. შეტდამს ეფიცრ, „გამომიცხადეს“ და მორ-

მეგზაგე.—მშვიდობით ჩემი კეტი, ჩემი ‍ ტოგეტი და ჩემი უფლებავ!



ოსმალეთი.—ახლა, მგონია, მარჯვე დრო ეისარგებლო და გადვიდე საზღვარს! არ ინანებსა შემაშალის ხელს!...



ქარავსლის შეკირდების გაფეცვის შედეგი.

„ნაბეჭდი-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

ფანელტროხის სტამბა ფიგ. ბოლოსა. ქალაქ. ათ—ლბ. ფასი ფიგ. ქალაქ. ...—ტელეფონი № 372.